ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

IMPACT HUB Vienna

CENN
Shaping the Future by Changing Today

მდგრადი განვითარება

კონკურენციიდან თანამშრომლობისაკენ

KRDF
KAKHETI REGIONAL DEVELOPMENT FOUNDATION

Green lane

შესავალი

გამარჯობა. კეთილი იყოს თქვენი სტუმრობა ონლაინ სახელმძღვანელოში, რომელიც სავსეა საკუთარი სოციალური ბიზნესის დასაწყებად საჭირო პრაქტიკული რჩევებითა და მასალებით.

სახელმძღვანელოს წინამდებარე ნომერში თქვენ გაეცნობით ბიზნესის ისეთ იდეებს, რომლებსაც საზოგადოებაზე გავლენის მოხდენა შეუძლიათ, მიიღებთ ინფორმაციას მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში არსებული სოციალური საწარმოებისა და ქსელების შესახებ. ვიმედოვნებთ, რომ ეს ინფორმაცია ადამიანებს, განსაკუთრებით ახალგაზრდებს, საკუთარი სოციალური ბიზნესსაქმიანობის დაწყებაში დაეხმარება.

წინამდებარე სახელმძღვანელოს მიზანია, დაეხმაროს სომხეთისა და საქართველოს ახალგაზრდულ ორგანიზაციებს საკუთარი შესაძლებლობების გაძლიერებაში არსებული სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური მრავალფეროვნების გათვალისწინებით. ის განკუთვნილია კერძო მეწარმეებისა და სოციალური მეწარმეობის სფეროში მომუშავე ორგანიზაციებისათვის მათი ცოდნის, გამოცდილების, ლიდერობის უნარებისა და მდგრადობის გასაძლიერებლად.

სახელმძღვანელოს რჩევების გათვალისწინებისა და გამოყენების შედეგად თქვენ:

- უკეთ გაიგებთ სოციალური საწარმოების მოდელების ღირებულებასა და მიზნებს;
- მიიღებთ ცოდნასა და გამოცდილებას რეალური სოციალური საწარმოების მაგალითებიდან;
- შეძლებთ სახსრების მოზიდვის და შემოსავლების მოდელების იდენტიფიცირებას;
- გაიაზრებთ შემოსავლის მიღების მოდელებზე წარმატებით გადასასვლელად აზროვნების შეცვლის აუცილებლობის მნიშვნელობას;
- უკეთ გაიგებთ თემის განვითარების აუცილებლობის მნიშვნელობას;
- თქვენი ორგანიზაციისა თუ სოციალური საწარმოსთვის გამოიყენებთ ისეთ პრაქტიკულ საშუალებებს, როგორიცაა „სთორითელინგი“ (ამბის თხრობა) და ბრენდირება;
- შეისწავლით და დანერგავთ ზემოქმედების შეფასების მეთოდებს.

გარდა ამისა, სახელმძღვანელო შეგიქმნით თქვენი ორგანიზაციისა თუ სოციალური საწარმოს გრძელვადიანი მდგრადობის მისაღწევად მისი გაუმჯობესების, სრულყოფის ან შეცვლის მოტივაციას.

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!

მდგრადი განვითარება

კონკურენციიდან თანამშრომლობისაკენ

„კაპიტალიზმმა ძალიან დიდი სამსახური გაგვიწია. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ მან ხელი შეუწყო გლობალური სიღარიბის შემცირებას და ჯანდაცვასა და განათლებაზე ხელმისაწვდომობის ზრდას, ეს ყველაფერი ძალიან ძვირი დაგვიჯდა... ჩვენ მიერ ამჟამად მოხმარებული რესურსების რაოდენობა 1,5-ჯერ აღემატება მსოფლიოში არსებული რესურსების რაოდენობას. არის ეს მდგრადი? მილიარდი ადამიანი კვლავ მშიერი იძინებს. არის ეს მდგრადი? უმდიდრესი 85 ადამიანის ქონება დაბალი შემოსავლების მქონე 3,5 მილიარდი ადამიანის ქონებას უტოლდება. არის ეს მდგრადი?[1]“

რას ნიშნავს მდგრადი?

განმარტების თანახმად, მდგრადი განვითარება არის „განვითარების მოდელი, რომელიც აკმაყოფილებს ამჟამად არსებულ მოთხოვნილებებს ისე, რომ მომავალ თაობებს არ შეექმნათ საფრთხე საკუთარი საჭიროებების დაკმაყოფილების კუთხით”. კონცეფცია სცილდება მხოლოდ მატერიალურ მოთხოვნილებებს და მოიცავს ღირებულებებს, ურთიერთობებს, აზროვნების, მოქმედებისა და მონაწილეობის თავისუფლებას, რაც ნიშნავს მდგრად ცხოვრებას, როგორც მორალური, ასევე სულიერი თვალსაზრისით (მდგრადი განვითარება, მ.მ. შაჰი, ეკოლოგიის ენციკლოპედია, 2008 წ.)[2]

> *მდგრადი ორგანიზაცია არის ისეთი ორგანიზაცია, რომელსაც დროთა განმავლობაში შეუძლია გააგრძელოს საკუთარი მისიის შესრულება და ამ გზით დააკმაყოფილოს მისი მთავარი დაინტერესებული მხარეების - განსაკუთრებით ბენეფიციარებისა და მხარდამჭერების საჭიროებები. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არასამთავრობო ორგანიზაციის ფინანსური მდგრადობა დამოკიდებულია შემოსავლების დივერსიფიკაციისა და ახალ სახსრებზე წვდომის შესაძლებლობაზე[3].*

პრაქტიკული სავარჯიშო:

თუ თქვენ პლანეტა დედამიწას რეალური ცვლილებების გასატარებლად მოევლინეთ, საიდან დაიწყებთ? რომელია ყველაზე მნიშვნელოვანი საქმე? გავეცნოთ გაეროს მდგრადი განვითრების მიზნებს. ეს მიზნები 2030 წლის მდგრადი განვითარების მიზნების ნაწილია.

- ჩამონათვალიდან აირჩიეთ სულ მცირე ერთი მიზანი, რომელიც თქვენთვის მნიშვნელოვანია. რა გზით შეგიძლიათ საკუთარი წვლილის შეტანა ამ მიზნის მიღწევაში?

---

1. https://www.mckinsey.com/business-functions/sustainability/our-insights/business-society-and-the-future-of-capitalism
2. https://www.sciencedirect.com/topics/earth-and-planetary-sciences/sustainable-development
3. https://www.intrac.org/sustainable-ngo-resourcing-matters/

სამოქმედო გეგმა: როგორ მივაღწიოთ მდგრადობის ასეთ დონეს?[4]

1. **წინასწარ შეიმუშავეთ გეგმა მკაფიო ხედვით: მდგრადობის პირველი წესია მკაფიო ხედვა, რომელიც არსებულ საჭიროებებს შეესაბამება.**

   ზოგადად, ნებისმიერი ორგანიზაცია მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მის შესაძლებლობაზე, მოაგვაროს თემის რეალური პრობლემები. გარდა ამისა, ორგანიზაციამ, ზემოქმედების გაძლიერების მიზნით, უნდა ითანამშრომლოს ამავე ტერიტორიაზე მომუშავე სხვა პირებსა თუ ორგანიზაციებთან.

   - **ეტაპი 1: ჩაატარეთ არსებული ვითარების კვლევა და შეიმუშავეთ გრძელვადიანი გეგმა, რომელსაც შეუძლია პრობლემების მოგვარება და კონკრეტული გადაწყვეტილებების შეთავაზება** - ეს იქნება პირველი ნაბიჯი თქვენს სფეროში მომუშავე სააგენტოებისგან დაფინანსების მიღების შესაძლებლობის გაზრდის მიმართულებით.

2. **გამოავლინეთ პოტენციური დონორები:** ორგანიზაციის მომავლის უზრუნველსაყოფად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სტრატეგიული გეგმის შემუშავებას, რომელშიც თითოეული ღონისძიების გასწვრივ მითითებული უნდა იყოს ყველა შესაძლო დონორი. დაფინანსების მიღების ყველა შესაძლებლობის გამოსაყენებლად ეს ინფორმაცია მუდმივად უნდა განახლდეს.

   - **ეტაპი 2: ჩაატარეთ ფართო კვლევა და შეიმუშავეთ გეგმა იმის დასადგენად, თუ როგორ შეგიძლიათ უზრუნველყოთ საკუთარი საქმიანობის დაფინანსება გრძელვადიან**

4. https://www.fundsforngos.org/featured-articles/develop-sustainability-plan-ngos/

პერსპექტივაში. გეგმაში განსაზღვრული უნდა იყოს, ვინ შეიძლება იყოს პოტენციური დონორი, რა არის მათი ფინანსური პრიორიტეტები და სტრატეგიები, როგორ უნდა გახდეთ მათი პარტნიორი.

3. **გააძლიერეთ საკადრო პოტენციალი:** თქვენს ორგანიზაციას უნდა ჰქონდეს დროებითი მოხალისეების ახალ თანამშრომლებად მიღების სტრატეგია (საჭიროების შემთხვევაში ორგანიზაციას დამატებითი თანამშრომლების შრომის გამოყენების შესაძლებლობა ექნება).

   - **ეტაპი 3: შეიმუშავეთ გრძელვადიანი გეგმა, თუ როგორ უნდა მართოთ პერსონალი ისე, რომ მაქსიმალურად გამოვლინდეს თითოეული თანამშრომლის პოტენციალი და ხელი შეეწყოს მათ პროფესიულ განვითარებას მათივე მოლოდინების შესაბამისად.** ასევე ძალიან მნიშვნელოვანია თანამშრომლებს შორის თანამშრომლობისა და კარგი ურთიერთობის დამყარება, საქმისადმი მათი დამოკიდებულებისა და ერთგულების გასამყარებლად.

4. **შეადგინეთ მდგრადობის რეალისტური გეგმა:** ამბიციური გეგმები კარგია გრძელვადიან პერსპექტივაში, მაგრამ, თუ საქმე კონკრეტულ საპროექტო წინადადებებს ეხება, აუცილებელია რეალისტური დღის წესრიგის შექმნა. თითოეული პროექტი უნდა იყოს განხორციელებადი მისთვის დადგენილ ვადებსა და ორგანიზაციის ბიუჯეტის ფარგლებში.

   - **ეტაპი 4: შეაფასეთ თქვენი შესაძლებლობები ისეთი მცირე პროექტების შემუშავებაში, რომლებიც ხელს უწყობენ უფრო დიდი მიზნების მიღწევას.** აიღეთ თქვენი გრძელვადიანი მიზანი და მოამზადეთ მის მისაღწევად საჭირო უფრო მცირე ღონისძიებების გეგმა.

5. **შეაფასეთ ზემოქმედება და შემდგომი ნაბიჯები:** ახალი პროექტის მომზადების დროს იფიქრეთ იმაზე, თუ რა შეიძლება მოხდეს მისი განხორციელების შემდეგ. განიხილეთ პარტნიორები, ახალი ქსელები და პროექტის შემდგომი ღონისძიებები.

   - **ეტაპი 5:** მდგრადობის გეგმაში ჩართეთ ზემოქმედების შეფასების მეთოდები (გამოკითხვები, მონაცემთა ანალიზი, კონტენტ-ანალიზი, ფოკუს ჯგუფები, კითხვარები, და სხვ.).

სახელმძღვანელოს მომზადებისთვის მადლობას ვუხდით:

heartbeats
innovation &
communication

YES We Care 2

წინამდებარე სახელმძღვანელო შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით, რეგიონული პროექტის „EU4Youth: სოციალური მეწარმეობის ეკოსისტემის განვითარება (SEED) მწვანე ზრდისთვის საზღვრისპირა რეგიონებში“ ფარგლებში. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია CENN და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

მდგრადი განვითარება

კონკურენციიდან თანამშრომლობისაკენ